პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 24 ოქტომბერი, 1948 წ. № 212 (8256). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მთელი ძალები საშემოდგომო თესვის დროზე დასამთავრებლად — მოწინავე (1-ლი გვერდი).
თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ბოსტნეული (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
აფხაზეთის მშრომელები იბრძვიან თამბაქოს უხვი მოსავლისათვის (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
შ. აფხაიძე — ახალი ცხოვრების მომღერალი (მე-3 გვერდი).
გიორგი ლეონიძე — სანდრო შანშიაშვილს (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მთელი ძალები საშემოდგომო თესვის დროზე დასამთავრებლად

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ენერგიულად შრომობენ დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად. საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მრავლდება წარმატება. პრესაში ყოველდღიურად გამოქვეყნებული ცნობები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეთა მიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდების შესახებ მოწმობენ საკოლმეურნეო წყობილების დიად ძალას. სოფლის მშრომელები არ იშურებენ თავიანთ ენერგიას ახალი სტალინური ხუთწლედით დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად.

ახლა ამოცანა ის არის, რომ, სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების პირნათლად განაღდებასთან ერთად, მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს, ყოველმხრივ ვამრავლოთ საკოლმეურნეო სიმდიდრე და მოვიპოვოთ უფლება 1950 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმის დროზე და მაღალხარისხოვნად შესრულება პურის ფრონტზე ახალი გამარჯვების საწინდარია.

ბევრგან კარგად გაიგეს ეს ამოცანა და საშემოდგომო ხვნა-თესვაც ორგანიზებულად მიმდინარეობს. ახალქალაქის რაიონმა თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გაძლიერებული ტემპით სთესენ წითელწყაროს, ახმეტისა და თბილისის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა არ არის. ზოგან თესვის ტემპი აშკარად არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, 20 ოქტომბრისათვის სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში დათესილი იყო 4.017 ჰექტარი საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები, გეგმა კი 12.800 ჰექტარის დათესვას ითვალისწინებს. ქარელის რაიონში თესვის გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული. ჩამორჩნენ აგრეთვე გურჯაანის, თელავის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონები. ოქტომბერი საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა. საჭიროა თესვის ტემპის გაძლიერება იმ ვარაუდით, რომ დარღვეულ არ იქნას მათი შესრულების აგროტექნიკური ვადები.

მოსავლიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს თესვის აგროწესების დაცვას. მიუხედავად ამისა, თესვის ხარისხისადმი სათანადო კონტროლის შესუსტების შედეგად ზოგან უხეშად ამახინჯებენ აგროტექნიკურ მოთხოვნებს. ქარელის რაიონის სოფელ დირბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 10 ოქტომბერს მწკრივად სთესდნენ უკონდიციო და შეუწამლავ თესლს. ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში დასთესეს უხარისხოდ მოხნულ 18 ჰექტარ ნაკვეთში. ზოგჯერ თესვის ხარისხს მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებიც არ იცავენ. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორსკის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში იორის მტს-ის პირველმა სატრაქტორო ბრიგადამ 5 ჰექტარი დათესა ისე, რომ ნიადაგი თესვის წინ არ დაუმუშავებია. სოფელ საგარეჯოს „ახალი შრომის“ კოლმეურნეობაში საგარეჯოს მტს-ის მეცხრე სატრაქტორო ბრიგადამ ისე დათესა, რომ თესლის მნიშვნელოვანი ნაწილი დატოვებულია ნიადაგის ზედაპირზე და მინდორი დაფარულია სარეველა ბალახებით. კასპის რაიონის სოფელ ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტები 5 დღით მოსცდნენ, რადგან კოლმეურნეობამ გააჭიანურა თესლის მინდვრად მიტანა. უხარისხო თესვის შემთხვევები დაუყოვნებლივ აღკვეთილ უნდა იქნას. აგრონომიული პერსონალი ვალდებულია თვალყური ადევნოს თესვის ხარისხს და იბრძოლოს სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის გადაჭრით ამაღლებისათვის. რაიონულმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა მტკიცე კონტროლი უნდა დააწესონ ხვნა-თესვის ხარისხისადმი.

მინდვრად შესრულებულ სამუშაოთა ბრიგადებისაგან აქტით მიღება და სათანადოდ გაფორმება კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მიერ კვირაში ერთხელ მაინც, დიდად აამაღლებს კოლმეურნეთა პასუხისმგებლობას.

საჭიროა უზრუნველვყოთ ტრაქტორების ორცვლიანი მუშაობა, სრული დატვირთვით გამოყენება, აღვკვეთოთ გაცდენები. შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული გუთნის, ტრაქტორისა და სათესი მანქანისათვის ყოველდღიური გამომუშავების ნორმების დაწესებას. პარტიულმა ორგანიზაციებმა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებით უნდა უზრუნველჰყონ მხვნელ-მთესველთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა, გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

სახელმწიფოს წინაშე დანაშაულია გაუწმენდავი და შეუწამლავი თესლით თესვა. სერიოზული მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებში მარცვლის საწმენდი მანქანების წესიერ მუშაობას. ამასთანავე საჭიროა კოლმეურნეობებში გამოიყოს კოლმეურნეთა საკმაო რაოდენობა თესლის ხელით გაწმენდისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ კონდიციური თესლით თესვა მოსავლიანობის გადიდების მძლავრი საშუალებაა.

მომავალი წლის პურეულის მოსავალს საფუძველი ახლა ეყრება. თუ საშემოდგომო თესვის საუკეთესო ვადები გავუშვით, მდგომარეობის გამოსწორება აღარ მოხერხდება. საჭიროა სოფლის მთელი ძალები მოვახმაროთ საშემოდგომო თესვის დროზე დამთავრებას და ხარისხობრივად შესრულებას. პარტიული და სამეურნეო მუშაობის სწორად შეხამება ამ საბრძოლო ამოცანის გადაჭრის აუცილებელი პირობაა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. აიგოს ა. ა. ჟდანოვის ძეგლი მოსკოვსა და ლენინგრადში.

2. დაერქვას:

ა) ქალაქ მარიუპოლს, სადაც ა. ა. ჟდანოვი დაიბადა, ქალაქი ჟდანოვი;

ბ) ტაგანსკის რაიონს ქალაქ მოსკოვში ჟდანოვის რაიონი;

გ) პრიმორსკის რაიონს ქალაქ ლენინგრადში ჟდანოვის რაიონი;

დ) როჟდესტვენკის ქუჩას ქალაქ მოსკოვში ჟდანოვის ქუჩა.

3. მიეკუთვნოს ა. ა. ჟდანოვის სახელი:

ა) გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს იჟორის ლენინის ორდენოსან და შრომის წითელი დროშის ორდენოსან ქარხანას და ამიერიდან ამ ქარხანას ეწოდოს: იჟორის ა. ა. ჟდანოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხანა;

ბ) 1-ლ სანიმუშო სტამბას მოსკოვში და ამიერიდან ამ სტამბას ეწოდოს: ა. ა. ჟდანოვის სახელობის 1-ლი სანიმუშო სტამბა;

გ) ქარხანა „წითელ სორმოვოს“ და ამიერიდან ამ ქარხანას ეწოდოს: ა. ა. ჟდანოვის სახელობის ქარხანა „წითელი სორმოვო“;

დ) ვლადიმირის სატრაქტორო ქარხანას და ამიერიდან ამ ქარხანას ეწოდოს: ვლადიმირის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სატრაქტორო ქარხანა.

4. მიეკუთვნოს ა. ა. ჟდანოვის სახელი:

ა) ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ამიერიდან ამ უნივერსიტეტს ეწოდოს: ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ბ) სამხედრო-საზღვაო პოლიტიკურ სასწავლებელს ლენინგრადში და ამიერიდან ამ სასწავლებელს ეწოდოს: ა. ა. ჟდანოვის სახელობის სამხედრო-საზღვაო პოლიტიკური სასწავლებელი;

გ) ლენინგრადის პიონერთა სასახლეს და ამიერიდან ეწოდოს მას: ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის პიონერთა სასახლე.

5. მიეკუთვნოს კრასნოე სელოს ლენინის ორდენოსან წითელდროშოვან 45-ე გვარდიის მსროლელ დივიზიას ამხანაგ ა. ა. ჟდანოვის სახელი და ამიერიდან ეწოდოს მას: კრასნოე სელოს ა. ა. ჟდანოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი 45-ე გვარდიის მსროლელი დივიზია.

6. გამოიცეს 1949-50-51 წლებში:

ა) ა. ა. ჟდანოვის ნაწარმოებნი;

ბ) ა. ა. ჟდანოვის ბიოგრაფია.

ა. ა. ჟდანოვის ნაწარმოებთა და ა. ა. ჟდანოვის ბიოგრაფიის გამოცემისათვის მასალების მომზადება დაეკისროს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტს.

7. დაწესდეს ფრიადოსანი სტუდენტებისათვის ა. ა. ჟდანოვის სახელობის 10 სტიპენდია თითო 500 მანეთის რაოდენობით შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში: მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — 4 სტიპენდია; მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში — 2 სტიპენდია და ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში — 4 სტიპენდია.

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ბოსტნეული

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა ბოსტნეულის დამზადების 1948 წლის სახელმწიფო გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. **კობახიძე** და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **მიგრიაული** იუწყებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 3.000 ცენტნერი ბოსტნეული.

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 1.050 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1.000 ცენტნერისა.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით შეტეხეს 1.050.000 ზონარმეტრი თამბაქო, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1.000.000 ზონარმეტრისა.

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

კომკავშირის 30-ე წლისთავის შესახვედრად

კომკავშირელ ლ. შარვაძის რაციონალიზატორული წინადადება

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ზედაპირიდან ფუჭი ქანების გაზიდვა საჰაერო-საბაგირო გზით სწარმოებს. ფუჭი ქანებით დატვირთულ ვაგონს დანიშნულების ადგილზე სცლიდა მუშა, რომელიც გრძელი ჰოგრით გადააყირავებდა ხოლმე ვაგონს.

ამას წინათ შახტის ვაგონსარემონტო საამქროს შემდუღებელმა, კომკავშირელმა ლ. შარვაძემ საშახტო კომისიაში შეიტანა რაციონალიზატორული წინადადება ავტომატური გადამყირავებლის მოწყობის შესახებ. ეს წინადადება განიხილეს, მოიწონეს და მისი პრაქტიკული განხორციელება მიანდეს თვით შარვაძეს. მოკლე ხანში შარვაძემ თავისი რაციონალიზატორული წინადადება პრაქტიკულად განახორციელა. ამ წინადადების დანერგვამ მუშაობიდან გაათავისუფლა 3 მუშა და დიდად დააჩქარა საჰაერო გზის გამტარიანობა. კომკავშირელ შარვაძის წინადადება წინასწარი გაანგარიშებით წელიწადში 19.000 მანეთის ეკონომიას იძლევა.

კომკავშირელი რაციონალიზატორი შახტის ხელმძღვანელობამ ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

კომკავშირელთა საჩუქარი

თიანეთი. (სპეც. კორ.). სახელოვანი იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით რაიონის კომკავშირის პირველად ორგანიზაციებში სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები თემებზე: „კომკავშირი სამამულო ომში“, „კომკავშირის დაბადება“, „კომკავშირის საბრძოლო გზა“, „ლენინი და სტალინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ“ და სხვ. თიანეთის მტს-ში შექმნილია ახალგაზრდობის სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი კ. ბიჩინაშვილი), რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 60 ჰექტარის ნაცვლად საშემოდგომოდ მოხნა 92,2 ჰექტარი. კომკავშირის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით ბრიგადამ იკისრა გეგმის გადამეტებით მოხნას 30 ჰექტარი. კომკავშირელმა ივანე ივანაურმა ხვნის გეგმა 170 პროცენტით შეასრულა. ამხ. ივანაურმა დამატებით იკისრა სეზონში გეგმის გადამეტებით მოხნას 20 ჰექტარი ფართობი.

პირუტყვის საკვების დამზადებაში მონაწილეობდა 5.500 კომკავშირელი

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის კოლმეურნე ახალგაზრდობა ახალ-ახალ საჩუქარს უმზადებს დედა-სამშობლოს ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ დღეებში ოლქის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო მასობრივი კვირაობა პირუტყვის საკვების დასამზადებლად, კვირაობაში მონაწილეობდა 5.500 კომკავშირელი. ამ დღეს ჩადებულ იქნა 24.800 ცენტნერი სილოსი, შეგროვდა 42.000 ცენტნერი ნამჯა, 24.180 ცენტნერი თივა.

კვირაობაში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯავისა და ზნაურის რაიონების კომკავშირელმა ახალგაზრდობამ.

ქუთაისის მაუდის საქსოვი ფაბრიკა. სურათზე: სართავი განყოფილების უფროსი ოსტატი ვლ. გოგელაძე, რომელმაც წელს რამდენიმე ათასი კილოგრამი საქსოვილე შენაზავი დაზოგა და ამით 87 ათასი მანეთის ეკონომია გასწია. მარჯვნივ სტახანოველი მრთველი ნ. გოლოდნიკოვა, რომელიც გამომუშავების ნორმებს 130-140 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

თბილისის მოწინავე საწარმოები ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმები

ჩაის გადამწონი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი გ. კაკაბაძე) 1948 წლის საწარმოო გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში შეასრულა 12 ოქტომბრისათვის 100,2 პროცენტით, ხოლო მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შესრულებულია 21 ოქტომბერს 100,1 პროცენტით. 1 ოქტომბრისათვის ფაბრიკის კოლექტივმა მიაღწია 4.736.800 მანეთ ზეგეგმით დაგროვებას.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხანამ (დირექტორი ს. ხითარიშვილი) საწარმოო გეგმა 20 ოქტომბრისათვის შეასრულა 100 პროცენტით. ამავე დროს პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 24,9 პროცენტით, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 14,3 პროცენტისა. ქარხნის კოლექტივმა ამავე დღისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვა 16,5 ტონა ალუმინის ჭურჭელი. ზეგეგმითი დაგროვების თანხამ გადააჭარბა 125.000 მანეთს.

სპილენძსაგლინავი ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა (დირექტორი ნ. ორჯონიკიძე) საწარმოო გეგმა შეასრულეს 19 ოქტომბერს 100,2 პროცენტით. ფურცლოვანი სპილენძის გამოშვების გეგმა შესრულებულია 100,4 პროცენტით. მუშათა საშუალო შრომის ნაყოფიერება 1947 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდებულია 25,8 პროცენტით.

კინოასლების გადამღებმა ფაბრიკამ (დირექტორი გ. ქოიავა) ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 19 ოქტომბერს 100 პროცენტით შეასრულა. ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 5 მილიონი მეტრი კინოფირი.

ლიქიორის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ვ. კიკაჩეიშვილი) ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 22 ოქტომბრისათვის შეასრულა 103,9 პროცენტით. უცვლელი ფასების მიხედვით გეგმა შესრულებულია 105,4 პროცენტით.

კაფელისა და ფილების ქარხანამ (დირექტორი ლ. ეზეკელი) წლიური გეგმა 7 ოქტომბრისათვის 101,5 პროცენტით შეასრულა.

ასევე წარმატებით გაანაღდეს საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულებები და წლიური გეგმები შეასრულეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კვების მრეწველობის კომბინატმა (დირექტორი მ. ჩიქოვანი) და ფერადი ქვების სათლელმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. მოვშოვიჩი).

ახალგაზრდა მეკონსერვეები ეკონომიას იძლევიან

გორი. (საკ. კორ.). გორის საკონსერვო ქარხანაში ახლახან ჩამოყალიბებული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა დიდი წარმატებით იბრძვის ზეგეგმითი დაგროვებისათვის და ნედლეულის ეკონომიისათვის. ოქტომბერში ამ ბრიგადას უნდა მოეცა 20.000 ქილა კონსერვი. მათ ეს ვალდებულება ათი დღით ადრე შეასრულეს და უკვე გამოუშვეს 23.000 ქილა.

მარტო ასეთი რაოდენობით კონსერვების გამოშვებაზე კომკავშირელმა მეკონსერვეებმა მიიღეს 2 ტონა შაქრის, 11 ტონა ნედლეულის და 32.000 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია.

სტახანოვური შრომის ნაყოფი

ხაშური. (საკ. კორ.). სავაგონო დეპოს კოლექტივმა პირველი ოქტომბრისათვის 213 პროცენტით შეასრულა სატვირთო ვაგონების კაპიტალური რემონტის წლიური გეგმა და 90 ათასი მანეთი ეკონომია გასწია. მევაგონეები ახლა ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ 7 ნოემბრამდე წლიური გეგმა შეასრულონ ყველა სახის დავალებათა მიხედვით.

საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან წარჩინებული სტახანოველები შემდუღებელი ს. კილასონია, რომელმაც ორ წელიწადსა და 9 თვეში ცხრანახევარი წლის გეგმა შეასრულა, ხარატი ს. მოწონელიძე, რომელსაც უკვე შესრულებული აქვს 8 წლის გეგმა, დურგლები რ. ხომასურიძე, მ. ახალკაცი, თ. ამბოკაძე და სხვები.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ჩხარი. (სპეც. კორ.). არც საზანოში, არც სიმონეთში და არც თერჯოლაში ქვევრები აღარ დარჩა ცარიელი, სურნელოვანი ფუცხუნა მაჭრით გაივსო. სად ჩასტიონ ზარაქიანი რთველის უხვი ნაყოფი? აი, რისთვის ზრუნავენ ახლა ჩხარელი მევენახენი.

25 ჰექტარზე აქვს გაშენებული თერჯოლის საბჭოთა მეურნეობას ვენახი. გეგმით ჰექტარზე 28 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, თერჯოლელებმა 40 ცენტნერი ყურძნის მიღება იკისრეს, ხოლო ფაქტიურად საშუალოდ 51 ცენტნერი მიიღეს.

პირველი ბრიგადის მერგოლურ მიხეილ ლოკიკაძის რგოლმა ჰექტარზე ნაკისრი 45 ცენტნერის ნაცვლად, 115 ცენტნერი ყურძენი მოიწია.

ახალგაზრდა მევენახე გრიგოლ ხუჯაძემ 112 ცენტნერი სუფთა „ცოლიკოური“ მოიწია. ასევე თავი ისახელეს მევენახეებმა გ. მუჯირმა, ს. გაბრიჩიძემ.

სარეკორდო მოსავალი მიიღეს აგრეთვე ჩხალთის, დიმიტროვისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობების მევენახეებმა. მთლიანად ჩხარის რაიონის მევენახეებმა გეგმის გადამეტებით სამშობლოს 4.550 ცენტნერი ყურძენი ჩააბარეს.

მოხუცი მევენახე

ივანე მირცხულავა ახლა 69 წლისაა. ის სოფელ გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრია. იგი ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს. 3-4 წლის მანძილზე ივანეს ყოველწლიურად გამომუშავებული აქვს 350-400 შრომადღე.

წელს იგი მევენახეობაში რგოლის ხელმძღვანელად მუშაობს. მის რგოლში 3,5 ჰექტარი ვენახია. შრომისმოყვარე მოხუცმა გაზაფხულზე იკისრა 3,5 ჰექტარ ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოეყვანა 70 ცენტნერი ყურძენი. იგი რგოლის წევრებთან ერთად თავს დასტრიალებდა თვითეულ ძირ ვაზს, არ მოაკლო ზრუნვა და შედეგიც სასიხარულო მიიღო. ყოველ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

საკოლმეურნეო კადრების მომზადება

ჭოხატაური. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ წელს გახსნა საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებელი კურსები, სადაც 1.700 კოლმეურნე მეცადინეობდა. მომზადებულია 830 მერგოლური—მეჩაიე და მეციტრუსე. 185 კოლმეურნე დაეუფლა ვენახის, ტუნგოსა და ხეხილის მოვლის აგროწესებს. მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის წესები აითვისა 45 კოლმეურნემ.

მოკლევადიანი კურსები გაიარეს აგრეთვე იმ კოლმეურნეებმა, რომლებიც საკოლმეურნეო მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის ფერმებში, აგრეთვე ბაღ-ბოსტნებში მუშაობენ.

ახალი პავილიონი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ლამაზდება და მშვენიერდება ქალაქი ზესტაფონი. უკანასკნელ ხანს ქალაქს შემატა კულტურისა და დასვენების პარკი. იგი გაშენებულია ქალაქის ცენტრალურ ადგილას მდინარე ყვირილის მარჯვენა ნაპირზე; პარკი ლამაზად და კულტურულად არის მოწყობილი. ამჟამად მდინარე ყვირილის მარცხენა მხარეზე პარკის გასწვრივ გაცხოველებით მიმდინარეობს პავილიონის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წელს დამთავრდება. მის მშენებლობაზე 250.000 მანეთი დაიხარჯება.

აფხაზეთის მშრომელები იბრძვიან თამბაქოს უხვი მოსავლისათვის

გალის რაიონის რეფოშუშელეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი თამბაქოს აღმის დღიურ ნორმას 500 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ტოლმაჩევისა

◁ ▷

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად დიდი სტალინის განუწყვეტელი მზრუნველობით მეთამბაქეობისა აფხაზეთში ახალ ალმავლობას განიცდის. თუ 1928 წელს თამბაქოს ფართობი მთელ აფხაზეთში 4.360 ჰექტარი იყო, ახლა 8.000 ჰექტარია. მეთამბაქეობა გახდა აფხაზეთის კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების მძლავრი წყარო.

შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მარტო თამბაქოსაგან მიიღეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი შემოსავალი. კოლმეურნეებს პრემია-დანამატის სახით მიეცათ 47 მილიონი და 144.770 მანეთი.

წელს აფხაზეთის მეთამბაქეოები წარმატებით ასრულებენ დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობას. თამბაქოს ადგილებზე ჯერ კიდევ 25 სექტემბრისათვის შესრულეს და იკისრეს გეგმის გადამეტებით აღება 25 მილიონნაზონარმტერი თამბაქო. 20 ოქტომბრისათვის ამ ვალდებულების ანგარიშში უკვე აღებული იყო 18 მილიონ 363 ათასი ზონარმტერი თამბაქოს ფოთოლი.

წელს თამბაქოს შემოსავალი 130 მილიონ მანეთს მიაღწევს, ხოლო პრემია-დანამატის სახით გაიცემა სულ მცირე 50 მილიონი მანეთი. შრომადღეზე ნავარაუდევია განაწილონ 3-5 კილოგრამი მარცვლეული, ფულად კი — 25-35 მანეთი.

მეთამბაქოე კოლმეურნეებმა და კოლმეურნეებმა იკისრეს თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ და ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ სულ ცოტა 2.000 ტონა თამბაქო.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მასალებს აფხაზეთის მშრომელთა გმირულ მუშაობაზე თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

მეთამბაქეოობის ახალი აღმავლობისათვის

★

ა. მგელაძე
სპარეთველის კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

★

მაგრამ აფხაზეთის მეთამბაქეობის კოლმეურნეობები ამით როდი დაკმაყოფილდნენ. მათ იკისრეს გეგმის გადამეტებით აღება 25 მილიონი ზონარმტერი თამბაქო. ამ წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, ამ ვალდებულების ანგარიშში აღებული იყო 18.363.000 ზონარმტერი თამბაქო. სულ 20 ოქტომბრის ჩათვლით აფხაზეთის მეთამთამბაქეობის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 2.781,8 ტონა ბარისხოვანი თამბაქო.

აფხაზეთის მეთამბაქეობის კოლმეურნეობებმა იკისრეს სახელმწიფოსადმი თამბაქოს ჩაბარების გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისთვის, ე. ი. მთავრობის მიერ დადგენილ ვადაზე 5 თვით ადრე.

სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა, რაც მიმდინარე წელს მთავრობის მიერ 5.600 ტონის რაოდენობით არის დამტკიცებული, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდებულია. მაგრამ, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარება სულ ცოტა 2 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეულ. ნაკლებუფთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც თამბაქოს აღების გეგმა უკვე 147 პროცენტით შეასრულეს. გაგაჩარებიდან შეასრულეს აგრეთვე თამბაქოს აღების ნაკისი ვალდებულება გაგრის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც თამბაქოს აღების გეგმა 129,3 პროცენტით გაანაღიდეს, და ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომელებმაც გეგმა შეასრულეს 121,8 პროცენტით.

ეს წარმატებანი მეთამბაქეობის განვითარების დარგში მიღწეულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უშუალო, ყოველდღიური ხელმძღვანელობით.

მეთამბაქეობის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა წელს მიაღწიეს თამბაქოს მეტად უხვი მოსავლის მიღებას. მაგალითად, გაგრის რაიონის სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ს. კ. ჯანია) იკისრა 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქოს მიღება. ფაქტიურად კოლმეურნეობამ ვეთიეულ ჰექტარზე აიღო 30 ცენტნერი. ამა წლის 15 ოქტომბრისათვის უკვე აღებული ჰქონდა 265.000 ზონარმტერი თამბაქო, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 132.000 ზონარმტერი. თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა კოლმეურნეობამ 130 პროცენტით შეასრულა.

სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთას რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. რ. დ. ჯობავა) 41 ჰექტარზე უკვე აიღო 761.900 ზონარმტერი თამბაქო, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 350.500 ზონარმტერი. თვითეულ ჰექტარზე მიღებული იქნება საშუალოდ 20 ცენტნერი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8,7 ცენტნერისა. თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა ამა წლის 15 ოქტომბრისათვის უკვე 119,4 პროცენტით არის შესრულებული.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტყაჩარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თეთამბაქეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ვ. ვ. ორმბაძ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწია 25 ცენტნერი თამბაქოს; გაგრის რაიონის სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ვ. ს. ნეფაძემ 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწია 25 ცენტნერი ფართობის ნაჩვენები ნაკისი ვალდებულებანი ორივ ამ ბრიგადირმა, ოჩამჩირის რაიონის ოლიკა სართანი.

გულრიფშელმა მეთამბაქეოებმა შარშან თამბაქოს ასორტიმენტის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოში, ხოლო ხარისხოვან მაჭეგენბლებისათვის მიიღეს სსრ კავშირის კვეის მრეწველობის გარდამავალი წითელი დროშა. თუ რაოდენ დიდია თამბაქოს ხვეერთი წონა რაიონში, ამას მოწმობს ის, რომ სარიო შემოსავალი — 57 მილიონნ ნინეთიდან თამბაქოს შემოსავალი შეადგენდა 45 პროცენტზე მეტს. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ,მიეცათ 14 მილიონ 800 ათასი მანეთი პრემია-დანამატი.

სოხუმის რაიონის მეთამბაქოეები რესპუბლიკაში მოწინავენი არიან. მათ სახელმწიფო დავალება კარგა ხანია შეასრულეს და ახლა იბრძვიან ნაკისი ვალდებულების გადამეტებით განადღებისათვის. ყველგან: სოხუმისა და გულრიფშის, გაგრისა და გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული თამბაქოს მოსაყანად. რესპუბლიკაში თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმა 25 კოლმეურნრეობამ 20 ოქტომბრისათვის შეასრულა. მათს მაგალითს ჰბაძავენ აფხაზეთის დანარჩენი კოლმეურნეობებიც. დიდი ბელადისადმი მიცემული სიტყვა წარმატებით იქნება შესრულებული.

ნ. ჯანჯღავა
ს. შონია

კოლმეურნეთა შეძლებულობის წყარო

საბჭოთა ხალხის სასიხარულო დღესასწაულის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავის წინ აფხაზეთის სახელოგანი მეთამბაქოეები ყოველ დღეს ახალი წარმატებით აღნიშნავენ. მათ კარგად იციან, რომ ბელადისადმი მიცემული სიტყვა მტკიცეა, და წელს მთელი მონდომებით ჩაბნენ თამბაქოს უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში.

— მივცეთ ჩვენს ქვეყანას მაღალხარისხოვანი ქართული თამბაქო! ამ ლოზუნგით შრომობენ სოხუმსა და გაგრაში, გუდაუთასა და ოჩამჩირეში, გალსა და გულრიფშეში. დიდი ხანია, თამბაქოს „კულტურა აფხაზეთის კოლმეურნეთა შეძლებულობის წყარო გახდა. შარშან რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მარტო თამბაქოს შემოსავალი მიიღეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი. მარტო პრემია-დანამატის სახით თამბაქოდან მიიღეს 47 მილიონ 144 ათას 770 მანეთი.

წელს უფრო მეტი წარმატებაა მოპოვებული. დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის აფხაზეთის მეთამბაქოეები სასახელოდ ასრულებენ. აფხაზეთის რაიონებმა თამბაქოს აღების დაფალება ჯერ კიდევ სექტემბრამდე შეასრულეს. მათ იკისრეს დამატებითი ვალდებულება — გეგმის ზევით შეეტანათ 25 მილიონნი ზონარმტერი თამბაქოი. სახელმოხეჭილმა მეთამბაქოეებმა ამ ვალდებულების შესასრულებლად ახალ წარმატებას მიაღწიეს.

გუდაუთელ მეთამბაქოეებს ნაკისური ვალდებულების მიხედვით უნდა აეღოთ 3.000.000 ზონარმტერი თამბაქო, ეს პირობა 20 ოქტომბრისათვის მთლიანად შეასრულეს და ახლა ვალდებულების გადამეტებით განაგრძობენ თამბაქოს აღებას.

— 2.300 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 9 ცენტნერი თამბაქო! ასეთია გულრიფშელ მეთამბაქოეთა პირობა დიდი სტალინის წინაშე. ამ ვალდებულების შესასრულებლად წინასწარი გამოანგარიშებით საჭირო იყო გულრიფშელებს აეღოთ 21 მილიონამდე ზონარმტერი თამბაქო, ფაქტიურად კი 20 ოქტომბრისათვის აღებულია 21 მილიონ 500 ათას ზონარმტერამდე. სახელმწიფო გეგმის ანგარიშში ჩაბარებულია 750 ტონამდე თამბაქო. მათ მტკიცედ გადაწყვეტილ თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ, ხოლო წელს სახელმწიფოს მისცენ სულ ცოტა 2.300 ტონა თამბაქო.

ახალი წარმატება მოიპოვა სოფელ მაჯარას ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ძ. ცქვეტარია ხელმძღვანელობს. აქ 16 ოქტომბრისათვის აღებული იყო 216.000 ზონარმტერი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 102.000 ზონარმტერისა. დამატებით აიღეს 50-60 ათას ზონარმტერ თამბაქოს. თუ შარშან 10 ჰექტარზე სულელოდ მიიღო 18,4 ცენტნერი თამბაქო, წელს 12 ჰექტარზე საშუალოდ უზრუნველყოფილია 22 ცენტნერის მოყვანა.

გულრიფშის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერსა", ლენინის და კიროვის სახელობის, კოდორის ჩარკვიანის, ფრუნზის ლენინიძის სახელობის კოლმეურნეობებს მოჰყავთ სამსუნის ჯიშის პირველხარისხოვანი თამბაქო. სოფელ ბაბუშერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში კ. თოდუთამ დიდ ბელადს პირობა მისცა, რომ 6 ჰექტარ ნარგავის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერ თამბაქოს მოიყვანდა. მას უკვე მიეღებული აქვს ჰექტარზე 19,5 ცენტნერი თამბაქო, ეჭვი არ არის იგი ნაკისურ ვალდებულებას მნიშვნელოვნად გადაამეტებს. ასევე წარმატებით ასრულებს ნაკისურ ვალდებულებას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მერგოლოური ოლია სართანია.

გულრიფშელმა მეთამბაქოეებმა შარშან თამბაქოს ასორტიმენტის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოში, ხოლო ხარისხოვან მაჭეგენბლებისათვის მიიღეს სსრ კავშირის კვეის მრეწველობის გარდამავალი წითელი დროშა. თუ რაოდენ დიდია თამბაქოს ხვეერთი წონა რაიონში, ამას მოწმობს ის, რომ სარიო შემოსავალი — 57 მილიონნ ნინეთიდან თამბაქოს შემოსავალი შეადგენდა 45 პროცენტზე მეტს. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ,მიეცათ 14 მილიონ 800 ათასი მანეთი პრემია-დანამატი.

სოხუმის რაიონის მეთამბაქოეები რესპუბლიკაში მოწინავენი არიან. მათ სახელმწიფო დავალება კარგა ხანია შეასრულეს და ახლა იბრძვიან ნაკისური ვალდებულების გადამეტებით განადღებისათვის. ყველგან: სოხუმისა და გულრიფშის, გაგრისა და გუდაუთის, ოჩამჩირისა და გალის რაიონში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული თამბაქოს მოსაყანად. რესპუბლიკაში თამბაქოს დამზადების სახელმწიფო გეგმა 25 კოლმეურნრეობამ 20 ოქტომბრისათვის შეასრულა. მათს მაგალითს ჰბაძავენ აფხაზეთის დანარჩენი კოლმეურნეობებიც. დიდი ბელადისადმი მიცემული სიტყვა წარმატებით იქნება შესრულებული.

ნ. ჯანჯღავა
ს. შონია



გაგრის რაიონის სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი პ. სვანიძე ამოწმებს თამბაქოს ფოთლების ფერადებას.

ფოტო ტოლმაჩევისა

გუდაუთელ კოლმეურნეთა წარმავლება

თამბაქოს „კულტურა გუდაუთის რაიონის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. იგი 1.550 ჰექტარზეა გაშენებული და კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის ძირითადი წყაროა. საკმარისია ითქვას, რომ 1947 წელს რაიონის კოლმეურნეობების მთელი ფულადი შემოსავლის 60 პროცენტს თამბაქოს შემოსავალი შეადგენდა.

წელს რაიონის მეთამბაქეოე კოლმეურნეებმა უფრო მეტი ენერგიით იმუშავეს თამბაქოს მოსაყანიობის გასაღიდებლად. მიუხედავად ხანგრძლივი გვალვისა, უზრუნველყეს „ბაქოს უხვი მოსავლის მიღება. თამბაქოს აღების გეგმა 25 სექტემბრისათვის 100,9 პროცენტით იყო შესრულებული. კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს — გეგმის გადამეტებით აეღოთ 3.000.000 ზონარმტერი თამბაქო. ეს ვალდებულება 20 ოქტომბრისათვის მთლიანად შესრულდა. თამბაქოს შეტანა გრძელდება.

ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ამხ. სუნგურთიანი) ვალდებულება იყო გეგმის გადამეტებით 100.000 ზონარმტერი თამბაქო აეღო. 20 ოქტომბრისათვის ამ კოლმეურნეობაში 125.000 ზონარმტერი თამბაქო შეტეხეს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ს. გოგობერიშვილმა 6 ჰექტარზე 58.000 ზონარმტერის ნაცვლად, 80.000 ზონარმტერი თამბაქო აიღო და დამატებით 40.000 ზონარმტერ თამბაქოს აღებს. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლოურმა ხუტაბარეამ 4,5 ჰექტარზე 63.000 ზონარმტერი თამბაქო აიღო, გეგმა კი 43.000 ზონარმტერის აღებას ითვალისწინებდა. იგი დამატებით აიღებს 7.000 ზონარმტერ თამბაქოს.

მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა პირობა დასდეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ. მოწონილი კოლმეურნეობებმა ეს პირობა უკვე გაანაღიდეს. ახალი სოფლის ორკონიკიძის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. კიკელაძე), კოლმეურნეობა „პროგრესსა" (თავმჯდომარე ამხ. შიაუფინი), ქანთარიის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ხასაია) თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა 20 ოქტომბრისათვის შეასრულა. კოლმეურნეები იბრძვიან არა მარტო თამბაქოს გეგმის რაოდენობრივი შესრულებისათვის, არამედ ხარისხობრივი მაჭეგენბლებისათვის. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ ჩაბარებული თამბაქოდან 20 პროცენტი პირველი და მეორე ხარისხისა, ხოლო კოლმეურნეობა „პროგრესსა" ჩააბარა 30 პროცენტი ხარისხოვანი თამბაქო.

გუდაუთის რაიონის კოლმეურნეები ვალდებულებას კისრულობენ სახელმწიფოს ჩაბარონ 1.300 ტონაზე მეტი თამბაქო, რაც 390 ტონით მეტია, ვიდრე გასულ წელს ჩაბარებული თამბაქო. გუდაუთელი მეთამბაქოეები დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობას პირნათლად შეასრულებენ.

ს. თავდიშვილი
სოციალისტური შრომის გმირი, გუდაუთის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე

გავაღიდეთ მოსავლიანობა

შარშან ჩემმა ბრიგადამ 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა. ჩემს შრომას პარტიამ და მთავრობამ დიდი შეფასება მისცა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. უმაღლესმა ჯილდომ ენერგია შემმატა ახალი წარმატების მოსაპოვებლად. წელს გალდებულება ვიკისრე 12,5 ჰექტარზე საშუალოდ მიმეღო 30 ცენტნერი თამბაქო.

ბრიგადის 45 წევრს მივეხმარეთ ნაკვთების. ყველა ბიჯითად შრომობდა. თამბაქოს არ მოკლეზია მოვლადამუშავება. დაკვირვებამ დამანახვა, რომ მოსავლიანობის ბედს წყვეტს ჯანსაღი ჩითილი. ეს ბეგიფიკალისწინეთ და საქმე მივანდეთ ჩითილის გამომყვან სპეციალისტებს მანია გეგეკკორს, გალინა მახარობლიძეს და ა. ტერზიანს. მათ საეკეთესო ჩითილი მოგვცეს. დარგვის დროს წუწნწუნი შევიტანეთ. ნაკლებ ნაყოფიერ ნაკვეთზე შეგვეკონდა ორგანული და მინერალური სასუქი. თამბაქეო ექვსჯერ გაეთხნეთ. უკანასკნელად გავთხნეთი იელისის პირველ ნახევარში, ზოგიერთს შეუძლებლად მიანნდა ამ პერიოდში თამბაქოს გათხნნა. მე კი მტკიცედ გადავწყვიტე გამეთხნნა. ეს აუცილებელი იყო გვალვის დროს. ამან გადაარჩინა თამბაქეო. შემდეგ უზრუნველვყავით მეორე მოსავლის კარგი თამბაქოს მიღება. ამისათვის პირველი მოსავლის აღების შემდეგ 7 ჰექტარზე აგვისტოს პირველ რიცხვებში თამბაქეო გადავჭერით. ამან მოგვცა ორი ამონაყარი და ეს პირველ შეტეხზე თვითეული ძირი თამბაქეო 40-44 ფოთოლს იძლეოდა, მეორე შეტეხისას 60 ფოთოლზე მეტი მოგვცა.

სახელმწიფოს 13,5 ტონა თამბაქეო ჩავაბარეთ, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 10 ტონის ჩაბარება. ახლა მთელი ბრიგადა დარაზმულია იმისათვის, რომ 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი თამბაქოს ჩაბარებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს.

პ. სვანიძე
სოციალისტური შრომის გმირი, გაგრის რაიონის სოფელ განთიადის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი

პარტიული ცხოვრება

ალმოვფხვრათ ნაკლოვანებანი პარტიული განათლების ქსელის მუშაობაში

ახალი სასწავლო წლისათვის კიდევ უფრო გაფართოვდა ქალაქ სტალინირში პარტიული განათლების ქსელი. ამჟამად სტალინირის საწარმო-დაწესებულებათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან დაკომპლექტებულია 15 პოლიტსკოლა, რომლებშიც გაერთიანებულია 200 მსმენელი. 482 მსმენელი გაერთიანებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელ 27 წრეში. შექმნილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 10 წრე — 160 მსმენელით. მუშაობს სემინარი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელთათვის, რომელიც აერთიანებს 35 კაცს. საქალაქო კომიტეტთან შექმნილია 2 პარტიული სკოლა, რომლებშიც 44 კომუნისტი იმაღლებს თეორიულ დონეს.

პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტმა სერიოზული მუშაობა გასწია იმისათვის, რომ პოლიტსკოლები და წრეები სწორად დაეკომპლექტებინა. პროპაგანდისტებად დამტკიცებული არიან მომზადებული, გამოცდილი ამხანაგები. პროპაგანდისტებისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტი კვირაში ორჯერ აწყობს სემინარს. პროპაგანდისტები უზრუნველყოფილი არიან ლიტერატურით. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებენ, თუ როგორ ითვისებენ კომუნისტები წრეებში განვლილ მასალას, პარტორგანიზაციებმა გააძლიერეს დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი.

ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, რომელსაც ამავე გამომცემლობის დირექტორი გ. ჯატიევი ხელმძღვანელობს. სტამბის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ კომუნისტები თავიანთი პოლიტიკური დონის ასამაღლებლად.

პარტიული განათლების ქსელში სწავლის დაწყების პირველ დღეებში გამოვლინდა ნაკლოვანებანიც. „ზაგოტზერნოს" სტალინირის პუნქტის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე (ხელმძღვანელი კულიჯანოვა) დღემდე არ შესდგომია მუშაობას. ერთი მეცადინეობაც არ ჩატარებულა კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლაშიც (ხელმძღვანელი ამხ. ბარიშევი).

ზოგან არის მეცადინეობაზე მსმენელთა დიდი ნაწილის დაუსწრებლობის შემთხვევები. საოლქო სამომხმარებლო კავშირის პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის (ხელმძღვანელი ამხ. ვ. სანაკოევი) მეცადინეობაზე მსმენელთა ნახევარი არ ცხადდება. მსმენელთა ნახევარზე მეტი არ ესწრება აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურის პირველად პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის (ხელმძღვანელი ნ. გაგიევი) მეცადინეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად სათანადოდ არ მუშაობენ.

ამ დღეებში პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე განხილულ იქნა საკითხი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყების პირველი შედეგების შესახებ. პლენუმმა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. ახლა მთავარია ამ ღონისძიებათა განხორციელება.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

პირველი დღეები

მარგანეცის ქალაქში საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეები და პოლიტსკოლები ორგანიზებულად შეუდგნენ მუშაობას. აქ პარტიის ისტორიის შემსწავლელი 14 წრე, 19 პოლიტსკოლა და 10 საერთო განათლების სკოლაა. უკვე ჩატარდა პირველი ორი-სამი მეცადინეობა. პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის პირველი დღეები გვიჩვენებენ, რომ ამ ფრიად საპატიო საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის, ბერიას სახელობის მაღაროების, რკინიგზის სადგურის და მარგანტრესტის სამმართველოსთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა. მათ წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობისათვის წინასწარ ყველა პირობა შექმნეს. პროპაგანდისტები კ. გაფრინდაშვილი, გ. ეზიაშვილი, ა. მოდებაძე, ს. ნოზაძე, გ. კირკიტაძე, მ. თაბაგარი, ე. ფალავანდიშვილი გულმოდგინედ ეკიდებიან საქმეს, მაღალხარისხოვნად ამზადებენ საუბრებს, მეცადინეობის დროს იყენებენ სწავლების თვალსაჩინო მეთოდებს. მომზადებულად ტარდება აგრეთვე მეცადინეობა მარგანტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებასა და პურკომბინატთან არსებულ პოლიტსკოლებში (პროპაგანდისტები ი. სამხარაძე და მ. გოქსაძე).

არის ნაკლოვანებანიც. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჭიათურის საქალაქო განყოფილებასთან არსებულ პოლიტსკოლაში პირველი მეცადინეობა ჩაიშალა, ხოლო საავადმყოფო-პოლიკლინიკასთან არსებული პოლიტსკოლის პირველ მეცადინეობას 23 მსმენელიდან 13 დააკლდა. ასევე მოხდა მარგანტრესტის სატრანსპორტო განყოფილებასთან არსებულ პოლიტსკოლაში, სადაც მეცადინეობა 7 კაცმა (21-დან) გააცდინა. აქ დასწრება და შეთვისების ხარისხი დაბალია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა და პროპაგანდისტებმა აქედანვე უნდა იბრძოლონ პარტიული განათლების ქსელში სწავლების მაღალი ხარისხისათვის.

პ. ჟიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიციები

დაამთავრა კვლევითი სამუშაოები და სხვადასხვა რაიონიდან დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების გეოლოგთა, მეტალურგთა, ენერგეტიკოსთა, ნიადაგმცოდნეთა, გეოგრაფთა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, ხელოვნებათმცოდნეთა და ენათმცოდნეთა 50 ექსპედიცია.

გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის ექსპედიციებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ა. ჯანელიძის ხელმძღვანელობით შეისწავლეს საქართველოს ნავთიანი რაიონების გეოლოგია. ინსტიტუტის ერთ-ერთი ექსპედიცია გაიგზავნა აფხაზეთში, სადაც სწავლობდა მრავალლითონიან საბადოთა მინერალოგიას.

წარმოების ინტერესებსა და ომისშემდგომი ხუთწლედით დასახული გეგმების წარმატებით გადაჭრის ამოცანებს მიეძღვნა ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციების მუშაობა. ისინი სწავლობდნენ ადგილობრივ მეტალურგიულ ნედლეულს, ადგილობრივი მადნებისა და ქვანახშირის თვისებებს.

ენერგეტიკული ინსტიტუტის ექსპედიციები უმთავრესად მუშაობდნენ მდინარეთა ხეობების აგებულების გამოკვლევაზე, მათში მაღალმთიან წყალსაცავების შექმნის შესაძლებლობის გამორკვევაზე ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებთან დაკავშირებით.

ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები განაგრძობდნენ საქართველოსა და მეზობელი მოძმე რესპუბლიკების მთამადნეულის და წიაღის გეოლოგიური აგებულების შესწავლას გამოყენებითი გეოფიზიკის მეთოდებით.

17 ექსპედიცია გაგზავნეს რაიონებში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებებმა. ისინი სწავლობდნენ ცალკეული ადგილების ბუნებრივ და სამეურნეო პირობებს, მუშაობდნენ ახალი მცენარეული ნედლეულის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებების გამოვლინებაზე.

მდიდარი მასალა შეაგროვა აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის ენის, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კომპლექსურმა ექსპედიციამ და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა. (საქინფორმი).

გიორგი ლეონიძე

სანდრო შანშიაშვილს

შენ — ალაზანის ბერმუხავ,
ბერო და მაინც მაგარო,
ლექსის მეზვრეო, მერთვლეო,
ნალვაწო, ნაამაგარო!
ძველი მუხების ნერგი ხარ,
გომბორის ტევრში ჩარგული,
შენ გზრდიდა ილიას ჩანგი,
ვაჟას ჩარგლური ჩანგური.
ხმანამწარევი წარსული,
წინაპარ გმირთა რიალი,
შენ სალამურით მოხველი,
ვაზის და ყანის შრიალით,
კახურ ყამირის ყვავილნი
დასხდნენ შენს წიგნში ლექსებად,
ლექსით დაკოცნე სამშობლო,
დღეს რომ შენ გეალერსება!
ადიდე ქართლი, კოლხეთი,
ალაზანი და რიონი,
ხალხი და დიდი ბელადი,
დღეები სანატრიონი!
ქორთაბუდეში გაზრდილმა,
მოსჭერ ჩუქურთმა ქართული,
ნათელი სიმი ჩვენი მზის
გულში გაქვს ამოხლართული!
შენს ძმობას გულში ვაძველებ,
დღეს გხვდები თაიგულითა,
ძმაო, სულ ჟღერდეს სიტკბოთი,
რაც ამოირხა გულიდან!
გამფრთხალან ყრმობის ირმები,
შენც მოგეპარა ჭაღარა,
მაგრამ პირიმზე გიყვავის,
გულში გუგუხებს ნაღარა!
ისევ გვასმინე ჰანგები,
ტკბილი და ომახიანი!
სულ მხარზე გეჯდეს სიმღერით
ბულბული ოქროს ხმიანი,
ისევ იმღერე ხალხურად,
ყამირის ხმაო ძლიერო!
გკოცნი, გილოცავ,
სამშობლომ,
დე, ლექსი გიბედნიეროს!

სანდრო შანშიაშვილის იუბილე

ორშაბათს, 25 ოქტომბერს, რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან თეატრში გაიმართება ცნობილი ქართველი პოეტისა და დრამატურგის სანდრო შანშიაშვილის დაბადების 60 წლისთავის შესრულების აღსანიშნავი იუბილე.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეონიძე.

იუბილეზე წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: „სანდრო შანშიაშვილის პოეზია" (მომხსენებელი შალვა აფხაიძე) და „სანდრო შანშიაშვილის დრამატურგია" (მომხსენებელი ბესო ჟღენტი).

სიტყვებს წარმოსთქვამენ სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე პოეტი ნიკოლოზ ტიხონოვი, მწერლები ირაკლი აბაშიძე და გერონტი ქიქოძე.

სანდრო შანშიაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ პოეტები. მსახიობები წარმოსთქვამენ იუბილარის ლექსებს. საკონცერტო განყოფილებაში ს. შანშიაშვილის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს და ოპერა „ლატავრადან" ნაწყვეტებს შეასრულებენ ოპერის მსახიობები.

დასასრულ რუსთაველის თეატრის მსახიობები წარმოადგენენ ს. შანშიაშვილის პიესა „არსენას" მესამე მოქმედებას.

დასაწყისი საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე.

გამოვცეთ გიორგი ჩუბინიშვილის მუსიკალური ნაწარმოებნი

კარი სწრაფად გაგვიღო, ღიმილით მოგვეგება და მიგვიწვია. წამსვე გული გაგვიხსნა — თითქოს დიდი ხნის მეგობრები შევხვდით ერთმანეთს.

ოთახში ბევრი არაფერი იყო: ფორტეპიანო, ერთი საწოლი, კუთხეში მაგიდა და ზედ წიგნები. დიდ ხანს ვისაუბრეთ, ათასგვარი ქართული ჰანგი დაუკრა და დაღიღინა.

— „შავი ზღვის პირს თეთრი ვარდი ადრიანად გაშლილიყო, ერთ მხრივ ტალღა სდარაჯობდა, მეორეთ — კლდე უბილიკო..."

გიორგის მკლავი მოკვეთილივით დაეშვა ძირს. მკერდი ფორტეპიანოსკენ წასწია, თვალი აუწყლიანდა. ამოიოხრა:

—ეჰ, რა გულის ძარღვით მღეროდა ამას ჩვენი ვანო სარაჯიშვილი...

* * *

მშვენიერი ტენორის მქონე გიორგი ჩუბინიშვილი ჯერ რატილთან სწავლობდა, შემდეგ პროფესორ მაზეტისთან. სიჭაბუკიდანვე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. არ ასცდენია არც მოსკოვის ბუტირკის ციხე, არც მეტეხი. ხშირად გამოდიოდა საღამო-კონცერტებზე. სდევნიდნენ. „რიონელის" ფსევდონიმს ამოეფარა. 1914 წელს ჯარში გაიწვიეს. პოლონეთში დაიჭრა. ფეხი მოჰკვეთეს. არტისტულ კარიერაზე ხელი აიღო, საკუთარი კომპოზიციების თხზვა დაიწყო. 1926 წელს მცირე ხნის განმავლობაში თბილისის ოპერის თეატრის დირექტორად მუშაობდა. მოსკოვის კონსერვატორიაში მიავლინეს. მესამე კურსზე ჩაირიცხა. სწავლა ვერ დაასრულა. დაავადმყოფდა. ფორტეპიანოს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ მოსცილებია. 1945 წლის 11 სექტემბერს გარდაიცვალა.

გ. ჩუბინიშვილი ხალასი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. მან 30-ზე მეტი სხვადასხვა სამუსიკო ნაწარმოები დაგვიტოვა, რომელთა შორის ბევრი საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარულია. წერდა ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ი. ევდოშვილის, გ. ორბელიანის, ს. შანშიაშვილის, გ. ქუჩიშვილისა და სხვა პოეტების ტექსტებზე.

გ. ჩუბინიშვილის კალამს ეკუთვნის: რომანსები — „ამირანი", „რა ტურფა, რა ლამაზია", „ერთხელ კოცნა", „რად გნახე", „სევდა", „ხმა გულისა", „რისთვის მიყვარხარ", „სატრფოვ", „მუხამბაზი", „სიმღერა", „ვარდი", „დარჩი, ნუ წახვალ", „ოდეს გამშორდი", „ია", „თბილისი", „სიმღერა", „არწივი", „შენ ოცნება ხარ", „გინდ მეძინოს", და სხვ., საგუნდო სიმღერები — „ახალგაზრდობის მარში", „ჩვენი დროშა სტალინია", „ჩონგური ახალ საქართველოში", „შრომის ზეიმი", „დაჰკა, დაჰკა", „ველარ განუძლეჰს ქვეყანა ძველი", „მიპასუხე, მითხარი", „ნაძვის ხის სიმღერა", დუეტები — „მოდი ჩემთან, მშვენიერო", „სალამური", „წამო ჩემთან", „საცეკვაო".

ამ ნაწარმოებთაგან ჯერჯერობით გამოცემულია მხოლოდ ხუთი რომანსი: „ამირანი" (ტექსტი ხალხური), „რა ტურფა, რა ლამაზია" (ტექსტი ვაჟა-ფშაველასი), „რად გნახე" (ტექსტი ხალხური), „ვარდი" (ტექსტი ი. ევდოშვილისა) და „ერთხელ კოცნა" (ტექსტი ვაჟა-ფშაველასი). „ამირანი" ჰარმონიზებულია კომპოზიტორ ქ. მელვინეთ-უხუცესის მიერ, დანარჩენი რომანსების ჰარმონიზება კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილს ეკუთვნის. დანარჩენი რომანსები და საგუნდო ნაწარმოებნი აქამდე გამოუცემელია, თუმცა ისინი ხშირად ჟღერენ სხვადასხვა საღამო-კონცერტებში.

„ვარდი" ვანო სარაჯიშვილის ერთ-ერთი საყვარელი რომანსი იყო. მან ხელნაწერის სახით გამოართვა ავტორს ეს ნაწარმოები და მუდამ დიდი წარმატებით ასრულებდა. „რა ტურფა, რა ლამაზია", და „ერთხელ კოცნა" მომხიბვლელი მელოდიურობითა და შესანიშნავი ვაჟკაცური ელფერით ჟღერდა ნიკო ქუმსიაშვილის შესრულებით. ს. შანშიაშვილის ტექსტზე დაწერილი რომანსი „დარჩი, ნუ წახვალ" გ. ჩუბინიშვილმა სანდრო ინაშვილს მიუძღვნა. გ. ჩუბინიშვილის ნაწარმოებთ სისტემატურად ასრულებენ მ. თარხნიშვილისა და სხვათა გუნდები. მის რომანსებს მუდამ გულთბილად იღებს ოამსწრე საზოგადოება.

გ. ჩუბინიშვილი მეტწილად ქალაქურ კილოზე მუშაობდა, მაგრამ მის ბოლოდროინდელ ქმნილებათა შორის მოიპოვებიან სავსებით ორიგინალური კომპოზიციის შემცველი ნაწარმოებნი, რომლებსაც ჯერ არ იცნობს ფართო საზოგადოება. ამ მხრივ აღსანიშნავია თუნდაც რომანსი „ია" (ტექსტი ს. შანშიაშვილისა), რაც უსათუოდ ფართოდ გავრცელდება და მოიპოვებს პოპულარობას. ყურადღებას იქცევს ი. ჭავჭავაძის ტექსტებზე შექმნილი რომანსები „სევდა", „სატრფოვ", ვაჟას ტექსტის მიხედვით შექმნილი რომანსი „არწივი" და მრავალი სხვანი.

მართალია, გ. ჩუბინიშვილის ნაწარმოებნი არ განირჩევიან საკომპოზიციო ოსტატობით, მაგრამ ისინი უსათუოდ აღწევენ მსმენელის სულსა და გულს თავიანთი უბრალოებითა და გულწრფელი გააზრებით. ჩვენი ფიქრით, ეს გარემოება უსათუოდ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. რამდენი დიდი პრეტენზიის მქონე ნაწარმოები მეხივით დასტყდომია ხოლმე თავს ადამიანს, ცეცხლივით მინათებია, გაუყრუებია, გაუბრუებია და გულში კი მისთვის ნაცარი დაუტოვებია.

გ. ჩუბინიშვილი ამ მხრივ თავდაბალი, უპრეტენზიო ადამიანი იყო. სამწუხაროდ, ბევრი მისი ხელნაწერი დაკარგულია, მაგრამ ისინი მშვენივრად ახსოვთ განსვენებულის შვილებს, რომლებიც ზუსტად ასრულებენ თავიანთი მამის ნაწარმოებთ.

დაკარგულის აღდგენა ადვილი შესაძლებელია. ისინი ხელახლა უნდა ჩაიწერონ განსვენებული გ. ჩუბინიშვილის შვილების შესრულებით, რომელთა ოჯახებშიც დაცულია ახლა განსვენებულის ყველა ხელნაწერი. უნდა შეგროვდეს, სათანადოდ დამუშავდეს და გამოიცეს გ. ჩუბინიშვილის ის ნაწარმოებნი, რომლებიც სრულებით არ გამოცემულა, მაგრამ ყურადღების ღირსია და უკვე მოიპოვეს პოპულარობა, აგრეთვე ადრე გამოცემული რომანსები, რომლებიც დიდი ხანია გავრცელდა და ახლა აღარ მოიპოვება. ზოგიერთ ნაწარმოებს ტექსტების ხელახალი შერჩევა ესაჭიროება. ყოველივე ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამით კი მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდება ქართული მუსიკის დარგში.

შალვა კაშმაძე

ახალი ცხოვრების მომღერალი

(დაბადებიდან 60 წლისთავის იუბილეს გამო)

სანდრო შანშიაშვილი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მხატვრული სიტყვის ასპარეზზე 1905 წელს გამოვიდა. აქედან მოყოლებული მისი კალამი გულწრფელად ემსახურება მშრომელი ხალხის ინტერესებს.

სანდრო შანშიაშვილის ოქტომბრის რევოლუციამდელ პოეზიას ღრმა წინააღმდეგობანი ახასიათებენ. პირველი რევოლუციის წლებში პოეტი მხურვალედ მოუწოდებდა მებრძოლთ:

შემოკრბით ერთად,
დასძახეთ მედგრად
და მოვიხადოთ ხალხის წინ ვალი!
ვაშა მებრძოლნო! აღმართეთ ხმალი!

რეაქციის წლებში მის პოეტურ ოცნებას მოდუნება დაეტყო, მის პოეზიაში ღრმა სევდის ნაკადები შეიჭრა. იგი გოდებს „რაღა დამრჩა სანუგეშო ოდნავ გამხარებელიო".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ს. შანშიაშვილი აქტიურად ჩაება ჩვენი ხალხის საბრძოლო ამოცანებთან დაკავშირებულ ლიტერატურულ საქმიანობაში. სოციალისტური მშენებლობით აღფრთოვანებული პოეტი ქმნის შესანიშნავ ლექსებს, რომლებშიც გამოხატულია საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მდიდარი შინაგანი ბუნება, შემოქმედებითი დამოკიდებულება შრომისადმი. იგი გულწრფელად უმღერის ახალ ცხოვრებას, მის შემქმნელ ხალხს.

პოეტმა თავისი შემოქმედება, თავისი პოეტური ბიოგრაფია მშობლიური ხალხის ბედს, მომავალს დაუკავშირა, თავისი პოეზია ხალხის სამსახურში ჩააყენა, მის გმირებზე სამღერლად მომართა. პოეტის გულს ახალისებს ახალი სოფლის მრავალფეროვანი და მდიდარი ცხოვრება. განახლებული სოფლის დაუვიწყარი სურათია დახატული მის მთელ რიგ ლექსებში, როგორიცაა „რთველი კახეთში" და სხვ. პოეტი შესანიშნავად იცნობს სოფლის ცხოვრებას, მის ყოფას და უკანასკნელის ფონზე ქმნის დასრულებულ რეალისტურ ნაწარმოებთ.

ს. შანშიაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა უმღერა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის პირმშოს — ზაჰესს. პოეტი აღფრთოვანებულ ლექსს უძღვნის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემოქმედს დიდ ლენინს. ს. შანშიაშვილის ამ ხანის პოეზია მრავალფეროვანია და შინაარსით მდიდარი. ყოველი ღირსშესანიშნავი საზოგადოებრივი მოვლენა ანარეკლს პოულობს მის პოეზიაში. იგი სწერს მთელ ჰიმნს, მიძღვნილს ოქტომბრის დიდი რევოლუციისადმი.

მისი ლექსების ტექსტზე დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა შექმნა შესანიშნავი სიმფონია, რომელიც შესრულებულ იქნა თვით ფალიაშვილის დირიჟორობით. ს. შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის ერთ-ერთი საუკეთესო ბალადა ქართულ პოეზიაში — „დედის ერთა ლენინთან". მკითხველს იპყრობს ამ ბალადის გულწრფელი ტონი, მისი ხალხურობა, ქართველი ხალხის შეურყეველი ერთგულება ლენინის იდეებისადმი.

პოეტი ჰიმნით მიმართავს მემამულის უღლისაგან განთავისუფლებულ შრომისმოყვარე გლეხს. ლექსში სჩქეფს პოეტის გულწრფელი სიყვარული მშრომელი გლეხისადმი, რომელიც ჭირსა და ვარამს წელში ვერ გაუტეხია.

შთაგონების განსაკუთრებული ძალით უმღერა პოეტმა ჩვენი ხალხის გამარჯვებათა ორგანიზატორს, დიდ სტალინს. ბელადის სახე ორგანულად და განუყრელად არის დაკავშირებული უკანასკნელი პერიოდის მის პოეზიასთან. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოხატა ლექსათ დიდი სტალინის დიდება. ლექსი „იოსებ სტალინს", რომელიც პოეტმა ჯერ კიდევ 1931 წელს დაწერა, ერთი საუკეთესოთაგანია, არა მარტო ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში, არამედ ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ამ ლექსში პოეტმა შესძლო გამოეხატა ხალხის დაუცხრომელი სიყვარული ბელადისადმი, ხალხის დიდი რწმენა და ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი. პოეტის შემოქმედება დიდი სტალინის სახეში პოულობს თავის საყრდენს, შთაგონების დაუშრეტელ წყაროს. ამით აიხსნება, რომ ს. შანშიაშვილის საუკეთესო ლექსები „ახალ საქართველოში", „ბელადისადმი", „ქარიშხალში ანთებული", „ჩვენი დროშა სტალინია" და სხვ. ბელადის დიდ საქმეს უმღერიან. ს. შანშიაშვილის ამ ლექსების ინტონაცია მეტად ბუნებრივი და გულწრფელია.

ასე გულწრფელი გრძნობით, შთაგონებული სიტყვით გამოხატა პოეტმა მთელი ხალხის სიხარული ლექსში „შენ გულმართალო, ხელმართალო ადამიანო".

ვრცელი ქვეყანა ბაღნართა ფერად ფერადი!
და ამ ბაღნარის შემოქმედი შენ ხარ ბელადო.
გადაედგამ ნაბიჯს, გულში ლხენა ჩამეკონება,
არ შემოდამდეს, არც სალამი დავაგვიანო:
მუდამ შენ წინ ხარ, შენ გესწრაფის ჩემი გონება,
შენ, გულმართალო, ხელმართალო ადამიანო.

ასეთივე გულწრფელი ხმით უმღერის პოეტი ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომელმაც დაამშვენა დაააყვავა საქართველო.

სამამულო ომის წლებში ს. შანშიაშვილის პოეტურმა შემოქმედებამ კიდევ მეტი მოქალაქეობრივი სიმძაფრე მიიღო, მისი პოეტური ხმა მეტი პატრიოტული სულისკვეთებით განიმსჭვალა. მან შექმნა მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებიც აღსავსენი არიან გამარჯვების რწმენით, მკითხველში ღრმა გრძნობებს აღვიძებენ, სამშობლოს კეთილდღეობას უგალობებენ.

პოეტმა თავისი ძალა სცადა ეპიკური ტილოს შექმნაშიც და დასწერა პოემა „დედა", რომელშიც ასახა ხალხის თავდადებული შრომა ზურგში სამამულო ომის დროს.

ს. შანშიაშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ლიტერატურის სხვა ჟანრებშიც, მეტადრე დრამატურგიაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი პიესა, რომელიც მას ქართველ თანამედროვე დრამატურგთა მოწინავე რიგებში აყენებს. ისე, როგორც პოეზიის სფეროში, ს. შანშიაშვილს რთული და მნიშვნელოვანი გზა აქვს განვლილი დრამატურგიული შემოქმედების მხრივაც. იგი შთაგონების ერთნაირი ძალით ამუშავებს როგორც ქართველი ხალხის მდიდარი წარსულიდან აღებულ, ისე თანამედროვე, აქტუალურ თემებს. წარსულიდან მის ყურადღებას იპყრობს ხალხის მონუმენტური გმირული თავგადასავალი; ისეთი ისტორიული პერსონაჟები, რომლებსაც ძლიერი გულისძგრანი და მღელვარე აზრები ამოძრავებენ, რომლებიც ეპოქების მწვერვალებზე დგანან და ხალხურ პატრიოტიზმს გამოხატავენ. მის მიერ გაცოცხლებული ისტორიული გმირები აღჭურვილი არიან მაღალი მორალური თვისებებით, მონოლითური ხასიათებით, შინაგანი მთლიანობითა და გარკვეული მიზანდასახულობით.

თანამედროვე ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ თემებზე შექმნილ პიესებში ავტორს აგრეთვე იზიდავს მებრძოლ ადამიანთა ბედი, მათი ურთიერთობა და ხასიათები. ს. შანშიაშვილი მოხერხებულად ფლობს დრამატული სიუჟეტის განვითარებას. იგი მტკიცედ იცავს ამ მხრივ კლასიკური დრამის ტრადიციებს.

სანამ სინამდვილის რეალისტურად დანახვის ხერხსა და მხატვრულ ნაწარმოებში ობიექტურობის საზომის გამოყენებას მიაღწევდა, ს. შანშიაშვილმა საკმაოდ დაძაბული შინაგანი ბრძოლა გადაიტანა იმისათვის, რომ დაეძლია თავისი იდეალისტური გატაცებანი, სიმბოლისტური განყენებულობა, რაც მის ოქტომბრის რევოლუციამდელ პიესებს ახასიათებდა. ასეთი პიესების რიცხვს უნდა მიეკუთვნის „შვების თავადი" და „ბერდო ზმანია".

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად მის დრამატურგიულ შემოქმედებაში გადამწყვეტი გარდატეხა ხდება. ფართოვდება მისი თემატიკა. თავის შემოქმედებითს უნარს და ენერგიას იგი გამარჯვებული ქართველი ხალხის სამსახურში აყენებს. ს. შანშიაშვილის დრამატურგია გამდიდრდა პიესებით, რომლებიც ასახავენ ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს, როგორიცაა სამოქალაქო ომი, ხალხთა სტალინური მეგობრობა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია; იგი გაძლიერდა აგრეთვე პიესებით, რომლებიც ისტორიულ თემებზეა აგებული და აცოცხლებენ ხალხის სიყვარულით შთაგონებულ წარსულის გმირებს, სამშობლოს კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს. ს. შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის საბჭოთა პერიოდში დაწერილი პიესები: „ჰერეთის გმირები", „სპარტაკი", „ლატავრა", „სამნი", „ანზორი" (პიესა დაწერილია ვს. ივანოვის „ჯავშნოსან № 14-69-ის" მიხედვით), „გიორგი სააკაძე", „კრწანისის გმირები", „არსენა", „ფოლადაური", „ხევისბერი გოჩა" (ა. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით). იდეურ მიზანდასახულობითა და მხატვრული ოსტატობით მათ შორის გამოირჩევიან „ანზორი", „გიორგი სააკაძე", „კრწანისის გმირები" და „არსენა", რომლებიც ქართული საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. „კრწანისის გმირები" საყურადღებოა როგორც მთავარი გმირის, ერეკლე მეფის ხასიათის ოსტატურად დახატვით, ისე იმ სოციალური ფონის გაშლით, რომელიც განსაზღვრავდა ამ დიდი მოღვაწის საქმიანობას.

ცოცხალი ფერებით არის შესრულებული გიორგი სააკაძის სურათი, როგორც ისეთი დიდი მოღვაწისა, რომლის მთელი ენერგია ქართველი ხალხის გამთიშველი ძალების წინააღმდეგაა მიმართული.

არა მხოლოდ ს. შანშიაშვილის, არამედ მთელი ქართული საბჭოთა დრამატურგიის თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენს პიესა „არსენა"; ამ პიესაში ასახა ქართველი გლეხობის თავდადებული ბრძოლა ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ. ავტორმა მთავარ მოქმედ პირად გამოიყვანა ხალხის საყვარელი გმირი—არსენა, რომელიც იბრძვის სიმართლისათვის, იმისათვის, რომ ხალხის საუკუნეობრივ ოცნებას ფრთები შეასხას. პიესა „არსენამ" გაიმარჯვა იმიტომაც, რომ აქ ავტორმა შესძლო ასახა ქართველი ერის ისტორიული მეგობრობა დიდ რუს ხალხთან. ამ პიესამ საპატიო ადგილი დაიკავა საერთოდ ჩვენი თეატრების რეპერტუარში.

ს. შანშიაშვილი ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა, რომელიც აღტაცებით უმღერის სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მიღწეულ ახალ-ახალ წარმატებას, საბჭოთა ხალხის უმაგალითო გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, დიდ ბელადსა და მასწავლებელს—სტალინს.

შ. აფხაიძე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის კომიტეტებში

საბჭოთა წინადადებების განხილვა მეორე ქვეკომიტეტში

პარიზი, 21 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკური კომიტეტის მეორე ქვეკომიტეტი განაგრძობდა საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი წინადადების განხილვას ატომური იარაღის აკრძალვის, ხუთი დიდი სახელმწიფოს მიერ ერთი წლის მანძილზე შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მესამედით შემცირებისა და უშიშროების საბჭოს ფარგლებში ამ ღონისძიებათა განხორციელების...

...ერების ორგანიზაციაში შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვის მთელ მანძილზე გამოდიოდა რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებათა მიღების წინააღმდეგ და უარს ამბობდა როგორც ატომური იარაღის აკრძალვაზე, ისე შეიარაღების შემცირებაზე. მან აღნიშნა, რომ ნაცვლად რაიმე დასაბუთებული გალაშქრებისა სსრ კავშირის წინადადების არსის წინააღმდეგ...

მალიკის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარეს სურდა გადასულიყო რეზოლუციის სირიის პროექტის განხილვაზე. მაგრამ სსრ კავშირის დელეგატმა წინადადება შეიტანა, რომ ქვეკომიტეტს კენჭი ეყარა რეზოლუციის საბჭოთა პროექტისათვის.

ეს წინადადება აშკარად სასურველი არ იყო ინგლის-ამერიკის ბლოკის დელეგაციებისათვის...

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის მზადება ბულგარეთში

სოფია, 22 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა კავშირმა, რომელსაც 900.000 წევრზე მეტი ჰყავს, დაიწყო მთელ ბულგარეთში მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის.

30 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე მთელ ბულგარეთში ჩატარდება საუბრები, მოხსენებები, ლექციები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და საბჭოთა კავშირის შესახებ. 6 და 7 ნოემბერს შესდგება დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები, საღამოები. ეწყობა საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების ამსახველი სურათებისა და ფოტოსურათების გამოფენები.

უცხოეთის ახალგაზრდობა ემზადება საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30-ე წლისთავისათვის

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 22 ოქტომბერი. (საკდესი). უნგრეთის ახალგაზრდობა ენერგიულად ემზადება საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30-ე წლისთავისათვის.

უნგრეთის ახალგაზრდობის სახალხო კავშირის ყველა პირველად ორგანიზაციაში ტარდება კრებები, რომლებიც ახალგაზრდობას აცნობენ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორიას, საბჭოთა ახალგაზრდობის როლს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს აგებისა და მისი დაცვის საქმეში.

უნგრეთის ახალგაზრდობის სახალხო კავშირმა დასაბეჭდათ მოამზადა ბროშურა „ლენინური კომკავშირის საბრძოლო გზა“.

ამ კავშირის ორგანიზაციებში ახლა ტარდება კონკურსი საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის იუბილესადმი მიძღვნილი საუკეთესო კედლის გაზეთისათვის. კონკურსში მონაწილეობას იღებენ ყველა ქარხნის, ინსტიტუტისა და სკოლის კედლის გაზეთები.

ახალგაზრდობის ბევრი ორგანიზაცია ემზადება აღნიშნოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30-ე წლისთავი ახალგაზრდობის დღესასწაულებით თავიანთ საწარმოებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

იუბილეს დღეებში ბუდაპეშტის ეროვნულ მუზეუმში გაიხსნება ლენინური კომკავშირის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 22 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღაში შესდგა საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ჩეხოსლოვაკიის პრემიერ მინისტრის მოადგილემ ფირლინგერმა და შეეხო ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის ამოცანებს. ფირლინგერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირმა უნდა ისწავლოს მუშაობა საბჭოთა კომკავშირის გამოცდილების საფუძველზე.

გვირგვინებით მორთეს საბჭოთა მეომრების საფლავები ბელგრადში

ბელგრადი, 21 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ, საბჭოთა არმიის ნაწილების მიერ ბელგრადის განთავისუფლების ოთხი წლისთავის დღეს ბელგრადის მშრომელებმა მრავალი გვირგვინითა და ცოცხალი ყვავილებით მორთეს იმ საბჭოთა მეომრების საფლავები, რომლებიც დაეცნენ იუგოსლავიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მასობრივი ორგანიზაციების სახელით გვირგვინებით მორთეს ძმათა საფლავები რესპუბლიკის მოედანზე, ძმათა საფლავი სლავიის მოედანზე და სხვა ადგილებში...

კოლმეურნე ცხენოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრება. სურათზე: ცხაკაიას რაიონის ცხენოსანთა გუნდი პარადზე.

საკავშირო ალკკ XXX წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში

შეჯიბრების მეორე დღე

ისევე როგორც 22 ოქტომბერს, გუშინაც მრავალი ათასი მაყურებლის თანდასწრებით დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე ცხენოსანთა 10 საუკეთესო გუნდის დაძაბული ბრძოლა ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელობის თასის მოსაპოვებლად.

შეჯიბრების მეორე დღის პროგრამა მრავალფეროვანი იყო. ისინდში ზუგდიდის გუნდმა დაამარცხა ცხაკაიას და ხობის გუნდები, ხოლო ფოთის ცხენოსანთა გუნდმა ქობულეთისა და სიღნაღის გუნდები...

...რომ შეჯიბრებაში მათი დაშვება სპორტის ამ სახეობაში ყოველმხრივ გაუმართლებელი იყო. ისინი მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ, გარდა ერთი მხედრისა.

კარგი იყო ჯირითი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ ცხენოსნებმა. მათ საჩვენებელ გამოსვლას მაყურებლები კმაყოფილებით შეხვდნენ.

...

კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში

25 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო პარტკაბინეტში შესდგება ლექცია თემაზე: **„საერთაშორისო მდგომარეობა“,** ლექტორი ამხ. **სულეიმანი.**

აქვე, საღამოს 8 საათზე, შესდგება სემინარი თბილისის მსხვილ საწარმოთა დირექტორებისა და მთავარი ინჟინრებისათვის თემაზე: **„სამეურნეო ანგარიში, პროდუქციის თვითღირებულება, ფასი და მოგება სოციალისტურ საზოგადოებაში“,** აგრეთვე **„დიფერენციული რენტა სსრ კავშირში“**—ლექტორები დოცენტები **ბაჯაძე** და **მელქაძე.**

ლ ე ქ ც ი ა

26 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვის კაბინეტში კათედრის ღია სხდომაზე პროფესორი **ა. ნ. ინწკირველი** წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში“.**

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

ვ. ლაფერაშვილი, მ. ჭკადუა, ნ. ქვანია, ლ. ჩიქოვანი, ლ. წეროძე, ნ. ტიმოფეევა, გ. ავალიანი თანაგრძნობას უცხადებენ ქეთო ჭუმბურიძეს მის დის **თინა ჭუმბურიძე-ვარძელაშვილის** გარდაცვალების გამო.

ანიკო და თეო ჩხეიძეები, ვერიკო და კოლია ავალიშვილები, ვალერიან კაკოიშვილი იუწყებიან **დავით ივანეს-ძე ავალიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-X ს. ხიდარში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-98-67, ხელმძღვანელი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, წერილების და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 12921